

ლოქსუმი

გაზეთი გამოდის
1983 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცენტრის რაიონული კომიტეტისა და
ცენტრის სახალხო დემოკრატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№143 (6369)

29 ნოემბერი

1990 წელი ხუთშაბათი შპსი 3 კაპიტი

დღეგანდელ ნომერი

გთავაზობთ: გიგლიშვილი

მიწა მიწია, ვინც მასზე ოფლსა ღვრის.

მე-2 გვერდი

ფრონტადი ჯარისკაცის დღიურიდან

ვიღებთ მოწოდების სიმაღლეს

...და იყო სიმღერა

მე-3 გვერდი

საქართველოს რესპუბლიკის კანონი აქტის შესახებ

თათბირი

რამსაბჭოს

ალმასკოში

მრავალპარტიულ დემოკრატიულ არჩევნებში საქართველოს ეროვნული მოძრაობის მიერ მოპოვებული გამარჯვების, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის გარდაუვალი პერიოდის დაწყების აღსანიშნავად, პლუმინიზმის პრინციპებიდან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. განთავსდეს სასჯელი-საგან თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული ვადის მიუხედავად, აგრეთვე ისეთი სასჯელისაგან, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან, საქართველოს სსრ სასამართლოების მიერ მსჯავრდებულნი:

ა) ქალები;
ბ) 60 წელზე უფროსი მამაკაცები;
გ) I და II ჯგუფის ინვალიდები.

2. განთავსდეს სასჯელისაგან მსჯავრდებულნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ვადით 5 წლამდე ჩათვლით და მანამდე არ მოუხდიათ სასჯელი „შრომა-გასწორების დაწესებულებებში“. აგრეთვე მსჯავრდებულნი, რომლებსაც მისჯილი აქვთ სასჯელი, რომელიც არ არის დაკავშირებული თავისუფლების აღკვეთასთან.

3. განთავსდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან მსჯავრდებულნი, რომლებმაც რეალურად მოიხადეს შეფარდებული სასჯელის ნახევარი და მანამდე არ მოუხდიათ სასჯელი „შრომა-გასწორების დაწესებულებებში“.

4. განთავსდეს სასჯელისაგან თავისუფლების აღკვეთის სახით არასრულწლოვანი, რომლებსაც მანამდე არ მოუხდიათ სასჯელი „შრომა-გასწორების დაწესებულებებში“.

5. განთავსდეს სასჯელისაგან მსჯავრდებულნი, რომლებსაც გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ვადით 8 წლამდე ჩათვლით.

6. გაუნახევრდეს სასჯელი მსჯავრდებულს, რომელსაც გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულისათვის მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა 8 წელზე ზევით.

7. შეწყდეს იმ დანაშაულთა გამო აღძრული ყველა საგამოძიებო და სასამართლო გზით განუხილველი საქმის წარმოება, რომლებიც ამ კანონის პირველ მუხლში ჩამოთვლილმა პირებმა ჩადიდეს კანონის ძალაში შესვლამდე.

8. არ განთავსდეს სასჯელისაგან ამ კანონის 1, მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებში ჩამოთვლილი პირები, რომლებიც:

ა) მსჯავრდებული არიან: ეროვნული და რასობრივი თანასწორობის დარღვევისათვის (სსკ 75-ე მუხლი), ბანდიტიზმისათვის (სსკ 78-ე მუხ.), ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადებისა და გასაღებისათვის (სსკ 88-ე მუხ.); განზრახ მკვლელობისათვის (სსკ 140-ე და 105-ე მუხლები); სხულის განზრახ მძიმე დაზიანებისათვის (სსკ 110-ე მუხ.); საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი მილიციის მუშაის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის (სსკ 209-ე მუხ.); გაუპატიურებისათვის (სსკ 117-ე მუხლის III და IV ნაწილები); სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცებისათვის (სსკ 117-ე მუხლის III და IV ნაწილები); სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების გატაცებისათვის (სსკ 92-ე მუხლის II, III და IV ნაწილები და სსკ 151-ე მუხლის II, III და IV ნაწილები); ყაჩაღობისათვის (სსკ 96 (1) და 152-ე მუხლები); განსაკუთრებით ზოგადი ხელისუფლებისათვის (სსკ 228-ე მუხლის III ნაწილი); ცეცხლსასროლი იარაღის საბრძოლო მასალის ან ფეთქებადი ნივთიერების გატაცებისათვის (სსკ 240-ე მუხ.); დამამძიმებელ გარემოებებში სატრანსპორტო საშუალებათა გატაცებისათვის (სსკ 243-ე მუხლის II ნაწილი); ნარკოტიკულ საშუალებათა უკანონოდ დამზადების, შენახვის, შეძენის, გადაზიდვის, გადაგზავნის ან გასაღებისათვის (სსკ 252-ე მუხლის I, II, III, IV და V ნაწილები).

ნარკოტიკულ საშუალებათა ხმაურზე დაყოლებისათვის (სსკ 252 (3) მუხ.); ნარკოტიკულ საშუალებათა მოხმარების ბუნების მოწყობის, შენახვის ან ამ მიზნებისათვის საღვთის მიცემისათვის (სსკ 253-ე მუხლი).

ბ) განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობილი პირები;
გ) პირები, რომლებიც სამჯერ და მეტჯერ არიან ნასამართლევი და მისჯილი ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა განზრახ ჩადენილი დანაშაულებებისათვის, აგრეთვე მანამდე ნასამართლევი არიან ამ კანონის მე-8 მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული დანაშაულისათვის;
დ) პირები, რომლებმაც მთვრალ მდგომარეობაში ჩადიდეს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის წესების დარღვევა (სსკ 241-ე მუხლის III და IV ნაწილები).

9. შეუმცირდეს სასჯელის მოუხდელი ნაწილი შემდეგ პირებს, რომლებიც არ თავისუფლებიან სასჯელისაგან ამ კანონის საფუძველზე:

ა) რომლებიც პირობით გაანთავისუფლეს თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან „შრომა-საგანდებლო ჩაბმით“ სანახევროდ;
ბ) მსჯავრდებულს, რომელმაც სასჯელის იხდიან „შრომა-გასწორების დაწესებულებებში“ და მოიხადეს დანიშნული სასჯელის სულ ცოტა ერთი მესამედი — სანახევროდ.

10. ამ კანონის საფუძველზე სასჯელისაგან განთავისუფლებულ პირებს ნასამართლობა არ ეხსენებათ, ისინი დამატებითი სასჯელისაგან არ თავისუფლებიან (გადასახლებისა და გასახლების გარდა).

11. ეს კანონი ძალაში შედის მიღებისთანავე და უნდა შესრულდეს ექვსი თვის განმავლობაში.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პავლემარე
გ. გამსახურდია.
თბილისი. 1990 წლის 22 ნოემბერი

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის
დაცვის სამინისტროს და სოციალური
უზრუნველყოფის სამინისტროს გაერთიანების
შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:
გაერთიანდეს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო და ეწოდოს საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო.

შეტანილ იქნეს ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შესახებ კანონში.

აღნიშნული კანონის 25-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა:

ბი: „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო“;

26-ე მუხლში სიტყვები: „საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო“ შეიცვალოს სიტყვებით: „საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო“;

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი
საბჭოს თავმჯდომარე
გ. გამსახურდია

თბილისი. 1990 წლის 22 ნოემბერი

სიხდეთა ძიონიკა

● საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 21 ნოემბრის სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების აქტუალური საკითხები. სხდომას უძღვებოდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა.

● გაიმართა საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალურ

რი პარტიის რიგგარეშე მორეკონგრესი. კონგრესმა დროებით, საქართველოს რესპუბლიკურ-ფედერალური პარტიისა და ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის გაერთიანებული ყრილობის გახსნამდე შეაჩერა მუშაობა.

სკოლა და სხოპაზა

ვიღბით მოწოდების სიმაღლეზე

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მკვეთრ აღმავლობასთან დაკავშირებით ჩვენი რესპუბლიკის განათლების სისტემამაც განიცადა პოზიტიური ძვრები, თუმცა მოსალოდნელია კიდევ მეტი, საქმისათვის სასარგებლო ცვლილება.

ახლა აღარავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ თუ სიმართლეს თვალს გავესწორებთ, სკოლის მოწვევითა საგრძნობი ნაწილის ცოდნა არადაამაკყოფილებელი შეფასებისა გამოვა, რა ეწამლება ამას? ვფიქრობ, პასუხი ერთია—მუშაობაში ფორმირებისა და შეფასებაში ლიბერალიზმზე უარის თქმა, პასუხისმგებლობის ამოღება, მაღალი პროფესიონალიზმი.

სწორედ ეს მოთხოვნები უდევს საფუძვლად მიმდინარე სასწავლო წელს ორბელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივის საქმიანობას. ახლა ყველასათვის გასაგებია, რომ პროცენტული მონაცემები არაფერს ნიშნავს, მთავარი საქმეა, საქმე, რომელიც სწორად და მიზანმიმართულად წარმართული, ჩვენი ხელოვნური დღის, საქართველოს ბედნიერი მომავლის გარანტია იქნება.

ყველას, პედაგოგებს, მშობლებს, მოსწავლეებს გვხვარებს, რომ ავსებულა დიდი ხნის ოცნება—უახლოეს პერიოდში განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული გეგმით დაიწყება

მშენებლობა სკოლის ახალი, ტიპური შენობისა, რომელიც გამართული იქნება ყოველმხრივ—სათანადო სპორტული და სხდომათა დარბაზებით, საცურაო აუზით და სხვა, რაც აუცილებელია სწავლებისა და აღზრდის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე.

ეჭვ წარმართვისათვის. შესაძლებლობის ფარგლებში ყველაფერი გაეკეთეთ სკოლის სამეურნეო მდგომარეობის მოწესრიგებისათვის. არსებული ტექნიკური საშუალებები წესრიგშია. ზამთრისათვის მზადაა ვარსკვლავის შენობის მხრივ.

სკოლის დირექცია დარწმუნებულია, რომ დღევანდელი მართვის მოთხოვნების შესრულებას ნიჭიერი, ერუდირებული, მამულიშვილური მრწამსით გულანთებული ახალგაზრდობის აღზრდას უაღრესად თანამედროვე, თავის საქმესა და ბავშვებზე უსაზღვროდ შეყვარებული, მაძიებელი პედაგოგები შეძლებენ, ეს პრინციპი ორბელის საშუალო სკოლის დირექციას კარგებთან მუშაობის განმსაზღვრელად მიაჩნია. სკოლა ძირითადად კვალიფიციური პედაგოგებითაა დაკომპლექტებული. ასევე ვიზრუნეთ იმისათვის, რომ კლასის ხელმძღვანელებად კომპეტენტური გამოცდილი მასწავლებლები შეგვერჩია. ეს ის ამაღლური მასწავლებლებია, რომლებსაც უმაღლესი ჯილდოდ მუდამ თავიანთი აღსაზრდელების მაღლიერების გრძნობა მიაჩნიათ და არ შევეცდები თუ ვიტყვი: „მშუღს უძღვნიან ბავშვებს“.

მისასალმებელია ახალგაზრდა მასწავლებლების: ნ. ბურჯალიანი (უცხო ენა) და მ. ნემსვერიძის (ქიმია) ენერგიული, მაღალი პროფესიონალიზმითა და მოსწავლეთა სიყვარულით აღმზრდილი მუშაობა.

ჩვენი რაიონის—სკოლები და მათ შორის ორბელის საშუალო სკოლა, განვიცდით ესთეტიკური ციკლის საგნების სპეციალისტების ნაყვებობას, თუმცა ეს ხარვეზი წელს ნაწილობრივ გასწორებულია და ხატვას ასწავლის ჩვენი სკოლის აღზრდილი, მ. თოიძის სახელობის სასწავლებლის კურსდამთავრებული ლ. სვანიძე. იმედი გვაქვს, იგი აზიარებს ნორჩებს ფერების ჯადოსნურ სამყაროს.

ჩვენი რაიონის სოფლის სკოლების, მათ შორის ორბელის საშუალო სკოლის მოსწავლეები მოკლებული არიან ლიტერატურის, თეატრის, კინოს ოსტატებთან საქმიან კონტაქტებს. ჩვენი მოსწავლეები დღესაც იგონებენ ამ რამდენიმე წლის წინანდელ ღირსსახსოვარ მომენტს—შეხვედრას ქუთაისის ლ. მეხიშვილის სახელობის თეატრის მსახიობებთან, რომლებიც თამაშობდნენ სპექტაკლში „ოთარის ღმერთი“ და ჩვენი სკოლის ლიტერატურულ—შემოქმედებითა წრემ ილიას საიუბილეო ზეიშზე მოიწვია სკოლაში. ნუთუ ასე ძნელია ცაგერის სახალხო თეატრმა თავისი სპექტაკლები ჩვენს მოსწავლეებსაც აჩვენოს, როგორც ამას აღრე აკეთებდნენ? დიდი სურვილი გვაქვს პედაგოგებს და მოსწავლეთა მშობლებს ჩვენთან მუშაობდეს ქორეოგრაფიული და მუსიკალური წრეები, მაგრამ სურვილი სურვილად რჩება, წლები მიქრიათ და ამ საქმეში თანადგომა არ ჩანს.

ორბელის საშუალო სკოლის დირექცია, პედაგოგიური და მოსწავლეთა კოლექტივები ვიმუშავებთ მთელი პასუხისმგებლობით, რათა ყველანი ერთად ვიდგეთ მოწოდების სიმაღლეზე—პედაგოგები სამშობლოს ვეზრდიდეთ ნამდვილ მამულიშვილებს, მოსწავლეები მთელი ძალი-სხმევით ემზადებოდნენ გახდნენ 21-ე საუკუნის თავისუფალი საქართველოს ღირსეული შვილები.

ჯ. ბურჯალიანი,
ორბელის საშუალო სკოლის დირექტორი.

... და იყო სიმაღლეზე

„მართალი“ მუსიკა სულის საზრდოა, სულის დაჭრის და სეფიანის, ღეხუმი კი ნაკლებად განვითარებული ამ სულიერი საზრდოთი. მიზეზი? ძალიან ბევრი. თუნდაც ის, რომ არ არსებობს ადგილობრივი ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი, პერიოდულად მოქმედი სხვადასხვა მუსიკალური კოლექტივები იშვიათად მართავენ კონცერტებს აქ, არც საქართველოს ცნობილი მუსიკალური კოლექტივები გვსტუმრობენ ხშირად, არადა როგორ გვეჩვენება სულის გამხსნელება ახლა, მთელი სასიცოცხლო ძალების ასეთი დაძაბვის შემდეგ, როცა უკან დარჩა ყველაფერი დაძაბული პერიოდი ჩვენი ცხოვრებისა.

შაბათს, 22 ნოემბერს, ღეხუში კონცერტი გამართეს ცნობილმა ქართველმა მომღერლებმა: ნუგზარ ერგმალიძემ, მერაბ სეფიშვილმა, ზურაბ კობეშვიძემ, ირაკლი მენთეშვილმა. კონცერტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ქართველს უსიმღეროდ ცხოვრება არ შეუძლია. უცებ გაღვია უცხოობის ყინული და საოცრად სწრაფად შევიდნენ კონტაქტში მომღერლები მაყურებელთან. დარბაზში ქართული სული დატრიალდა, სული ერთობისა და თანადგომისა, ქართულმა სიმღერებმა კი კიდევ უფრო გააცხოველეს იგი.

იყო სიხარული და ბედნიერება, მაგრამ ცრემლი და ტკივილიც იყო, გულიდან ამოხეთქილი სინანულგარეული ოხვრაც. სწრაფად შეიცვალა დარბაზის განწყობილება, როცა მომღერლებმა ერთ-ერთი სიმღერით პატივი მიაგეს საქართველოსთვის თავგანწირული მამულიშვილების ხსოვნას. ისევ ამოტივტივდა მძიმე ნაღველი, მოუშუშებელ იარაღს ისევ გაესხნა პირი და მაყურებელთა თვლებზე ცრემლმა მოძებნა ძველი ბინა, რადგან ტირილის მაგივრი იყო ეს სიმღერა და ცრემლიანმა თვალებმა გასცეს ამის საიდუმლო.

ტკივილთან ერთად იმედიც იყო—ჩვენი თანამდევნი უკვდავი სული, ამის დასტურად მერაბ სეფიშვილმა ი. ქავჭავაძის ლექსზე „გაზაფხული“ შექმნილი ანალოგიური დაასრულა კონცერტი, მაყურებელი ფეხზე იდგა, მომღერალთან ერთად ლოცვასავით იმეორებდა ლექსის სტრიქონებს:

„მესმის, მესმის სანატრელი ხალხთ ბოროტების ხმა მსხვერვისა...“

დარბაზში ქართული სული ტრიალებდა, ქართული ჯიშის ზეიმობდა, იყო იმედი, ოცნება, იყო ტკივილიც, და იმ ნათელი მომავლის რწმენა, რამაც გაათბო ყველა იქ მყოფი ღეხუშელის გული.

მადონა გახარობლიყ.



შპრანის სსრ. პეტრე მორიკი კიევის ოლქის ბარიშევსკის რაიონის სოფელ იაბლუნევოს მცხოვრებია. მას საბჭოთა მეურნეობისაგან 10 ჰექტარი მიწა აქვს აღებული, ზრდის მოზერებს. ზარმან მეურნეობა მიჰყავდა 2,5 ტონა ხორცი, წილს—6 ტონაზე მეტი.

სურათში: მოიჯარე პეტრე მორიკი.

საქდის ფოტოქრონიკა.

ქარის კაცის დღიურიდან

ები. ზოგი კარგად ფლობდა რუსულ ენას და მათთან სამუშაო-როდ ბევრი საბჭოთა მერყევი მოქალაქე შედიოდა. ისინი ხალხს პროვოკაციულად მოუწოდებდნენ: „ჩვენი ბრძოლა უაზრობაა, დღეს თუ ხვალ გერმანელები მოსკოვში შემოვლენ, დაეყაროთ იარაღი და მტერს ჩაებარდეთ“.

მთავარსარდლის ბრძანებით ყველა მოხეტიალე მტრის ავენტი პატიმრობაში იქნა აყვანილი და ლიკვირებული, თუ რამდენად სამართლიანი იყო მათი დასჯა და შემდგომ მათი რეაბილიტაცია, ეს მკითხველისთვის მიმინდვია.

1942 წლის ზაფხულში მტრის ჯარებმა მოსკოვს თავი მიანებეს და შეტევა სამხრეთისაკენ დაიწყო. პიტერის უშუალო გვერდით მტრის ჯარებს უნდა დაეპყროთ ჩრდილო კავკასია, გაჭირვრენ სტალინგრადისკენ, მდინარე ვოლგაზე უნდა გასულიყვნენ. მტერი ამ გეგმით ვარაუდობდა კავკასიის მოწყვეტას ცენტრიდან და

ბაქოს ნავთობის საბადოების ხელში ჩაგდებას.

მტერმა მართლაც დაიკავა ჩრდილო კავკასია, გაიჭრა აღმოსავლეთისკენ და სტალინგრადს მიადგა. თუ რა უღმობელი ბრძოლები მიდიოდა ამ ფრონტზე, ეს ყველასათვის ცნობილია. მტერმა დაიკავა რა ჩრდილო კავკასიის ნაციონალური ოლქები და ოკუპებში, ყაზარდო-ბაღყარეთი, ჩეჩენო-ინგუშეთი, დაღესტნის დიდი ნაწილი, სამწუხარო მოსაგონია ის ამბები, რომ ამ ოლქების მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა მტრის მხარე დაიჭირა და გადავიდა მათში, როცა ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, ამის ცოცხალი მოწმეა საირმელი ეგვნი ხუტყიძე, რომელიც სხვა საბჭოთა ჯარისკაცებთან ერთად ყაზარდოელებმა დაიჭირეს, იარაღი აპყარეს და მტრის ბანაკს ჩააბარეს, ასეთი შემთხვევები ათასობით იყო, კიდევ მეტი—ინგუშებმა და ყაზარდოელებმა შეარჩიეს ერთი კარგი არაბული ცხენი, მორთეს ოქროს უნაგირით და აღვირთ

და ეს საჩუქარი ჰიტლერს მიართვეს.

როცა საბჭოთა ჯარებმა ჩრდილო კავკასია მტრისაგან გაანთავისუფლეს, დაიწყო ამ ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხი და ისინი შუა აზიაში გაასახლეს. თუ რამდენად სწორი იყო ეს პოლიტიკა, განსჯა ისევ მკითხველისათვის მიმინდვია.

ქერჩის ნახევარკუნძული: სოფელ ავმანისთან მოწინავე ხაზზე განლაგებული იყო №224 ქართული ნაციონალური დივიზია. 1942 წლის მაისის დასაწყისში მტერმა ისეთი გააფთვებული შეტევა დაიწყო, არტილერიის, ხალხმურთების, ტანკების აფეთქებებით ისეთი ბოლი დადგა, რომ ჯარისკაცები ათი მეტრის მანძილზე ერთმანეთს ვეღარ ეცნობდით. ნაღმების დაბომბვის და ავიაციის შეტევით ეს ნახევარკუნძული ახლადგადანულ სასაზღვროდ იქცა. იგი ქართულად, სომეხთა და აზერბაიჯანელთა დივიზიების სასაფლაოდ გადაიქცა. ცოტა ვინმე თუ გად-

არჩა ამ შეტევის შემდეგ 1942 წლის 19 მაისს ქერჩის სრუტის მისადგომებთან თეძოში დაჭრილი ტყველ ამიყვანეს. ტყვეთა გრძელ კოლონას გარს შემოგვერტყნენ გერმანელები და დასავლეთისაკენ წავიყვანეს. ტყვეთა შორის ბევრი იყვნენ როგორც მსუბუქად, ისე მძიმედ დაჭრილები. მძიმედ დაჭრილი ტყვეები, რომელთაც სიარული თითქმის აღარ შეეძლოთ, კოლონის ბოლოში მოღოლდნენ, ზოგი კი ადგილზე ეცემოდა. ჩემდა გასაკვირად გერმანელთა შორის არც თუ ისე ცოტას ვამჩნევდი სამოქალაქო ფორმაში და ჩვენს გიმნასტურებში ჩაცმულ ადგილობრივ მცხოვრებლებს, მათ მკლავებზე გერმანული არმიის სიმბოლო—სვასტიკები ქონდათ გაკეთებული და პისტოლეტებით და ავტომატებით იყვნენ შეიარაღებული. მძიმედ დაჭრილ ტყვეებს, რომელსაც სიარული არ შეეძლოთ, განუყოფად ტყვის ახლიდნენ და იქვე ტოვებდნენ. ვფიქრობდი, ვინ არის ეს ხალხი? როცა ერთ მძიმე დაჭრილ ტყვეს დაახლოეს, ვეღარ მოვით-

ვინე და მივაყვირე: „მხეცებო გაყვირე, რას ჩაღიხარო?“ ჩემმა მეგობარმა უკრაინელმა მაქსიმ რიბაქინმა ტუჩზე ხელი დამაფარა და წამოჩურჩულა: „გაჩუმდი, თორემ შენ უარესს გიზამენო“. აღმოჩნდა, რომ ეს ვაქაბრონები ყველა ყირიმელი თათრები იყვნენ, რომლებმაც უღალატეს სამშობლოს და, პიტლერელებს შეუერთდნენ. ომის შემდგომი სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ამ ადგილობრივმა „რაინდებმა“ ყირიმის ოკუპაციის პერიოდში ყირიმში მცხოვრები 86 ათასი ქრისტიანი გაყვიტეს, უმრავლესობა რუსები. ეს ის ხალხია, რომელიც დღეს ყირიმის ავტონომიას მოითხოვს და, სამწუხაროდ, ჩვენი საკავშირო ხელშეწყობილობაც პირდაპირ ყირიმის განთავისუფლების შემდეგ ეს მოქალაქე გასახლეს ყირიმის ნახევარკუნძულიდან. თუ რამდენად სწორი იყო მაშინდელი საბჭოთა მთავრობა ამ აქციის ჩადენით, ვიმეორებ, ეს მხოლოდ საღად მოაზროვნე მკითხველისთვის მიმინდვია!

(დასასრული იქნება)



მსაჯ შიღის შესახებ

შიღის შესახებ ბევრი მეცნიერი ალაპარაკდა ჯერ კიდევ 1981 წელს, მაგრამ კაცობრიობამ ვერ შეაფასა ის საშინელი შედეგი, რომელიც ამ დაავადებას შეიძლება მოჰყვეს.

ამჟამად ამერიკელი მეცნიერების მონაცემებით შიღის დაავადებული 250 ათასი ადამიანი, ხოლო 5-10 მილიონამდე ადამიანი ვირუსმტარებელია. 1991 წლისათვის მსოფლიო საერთაშორისო ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის მიერ ნაგარადულია 50-100 მილიონი ადამიანის

ინფიცირება.

არის ცნობილი ვირუსის შესახებ? შიღის ვირუსი გამოყოფილ იქნა 1981 წელს, ეკუთვნის რეტროვირუსებს. 100 გრამულს ტემპერატურაზე ილუპება მოწინააღმდეგე, 50 გრამულს ტემპერატურაზე — ნახევარი საათის განმავლობაში. იგი მოქმედებს ადამიანის იმუნურ სისტემაზე.

იმუნური სისტემა, ისე როგორც ნებისმიერი სისტემა, შედგება თავის ორგანოების და უჯრედებისაგან.

შიღის ვირუსი მოქმედებს ადამიანის იმუნურ სისტემაზე, კერძოდ „ტ“ პეპიდებზე და მკროფაგებზე. იგი ახდენს ლიმფოციტების დათრგუნვას. დაავადებული მკროფაგი, მართალია, არ ილუპება, მაგრამ თვითონ ღდება ინფექციის რეზერვუარი.

1981 წელს სან-ფრანცისკოში პომოსტესტუალისტთა შორის აღმოაჩინეს ავადმყოფები პნევმოცის-

ტური პნევმონიით და კაპოზის სარკომით. ორივე ეს დაავადება აღრე იშვიათი იყო. ამ ავადმყოფების გამოკვლევით დადასტურდა, რომ მათ სერიოზული ცვლილებები ჰქონდათ იმუნურ სისტემაში. სწორედ ამის გამო უწოდეს შიღის — შეენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი.

ვირუსს ახასიათებს ხანგრძლივი იუბაცტორი პერიოდი — 5-10 წელი. მისი მოქმედება ფართოა. ზემოთ აღნიშნული კაპოზის სარკომის და პნევმოცისტური პნევმონიის გარდა, შიღის დროს აღსანიშნავია უამრავი ინფექციები, რომელთა შორის უმრავლესობა გამოწვეულია ვირუსებით.

ვირუსის ზემოქმედება ვლინდება სხვადასხვა ნევროლოგიური დაავადებებით, რომლებიც აზიანებენ ცენტრალურ და პერიფერიულ ნერვულ სისტემას, ამის მიზეზია დაავადებული მკროფაგების მოქმედება. ისინი პეპიდო-ენციფალებს ბარიერში გადიან და გადააქვთ ინფექცია. ამის გა-

მო ადამიანს შეიძლება დაემართოს ენციფალები, ასეპტიური მენინგიტი, პროგრესირებადი ქუასუსტობა. დაავადება შეიძლება გამოვლინდეს პარაზიზის სახითაც. ასეთ ავადმყოფს ახასიათებს: ზოგადი მდგომარეობის გაუარესება, ოფლიანობა, ტემპერატურის მომატება, წონაში დაკლება, ლიმფური კვანძების გადიდება. ჯერჯერობით არ არის დადგენილი პარაზიზის შიღის დადასტურების პროცენტი.

ვირუსის გადაცემა ძირითადად ხდება სქესობრივი კავშირით. თუ თავდაპირველად შიღის მხვეგრპლნი გახდნენ პომოსტესტუალისტები, ახლა იგი გვხვდება ნორმალური სქესობრივი კავშირების დროსაც. ვირუსით დაავადების რისკი იზრდება სქესობრივი კავშირის დროს პარტნიორების ცვლის შემთხვევაში.

ვირუსი გადადის ინფიცირებულ სისხლის და მისი პრეპარატების გამოყენებისას, ხშირად ავადდებიან ნარკომანები, არასტერ-

ილიზირებული ნემსის ხმარებისას. ჯერჯერობით შემთხვევები შიღის ვირუსის გადაცემისა ხველების დროს, ელის წამართმევით, დაავადებულთან ერთად სახლში ცხოვრებით, მწერების საშუალებით არ არის აღნიშნული.

შიღის გავრცელებულია დედამიწის მთელ ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მაღალია დაავადებულობა რიცხვი აშშ-ში. აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში, ავსტრალიაში, დაავადებულობა 75 პროცენტით პომოსტესტუალისტთა, 13 პროცენტით ნარკომანთა, არც თუ იშვიათია ახალშობილ ბავშვების დაინფიცირება დედისაგან მშობიარობის დროს.

სსრკ-ში პირველი შემთხვევა რეგისტრირებული იქნა 1987 წელს. საქართველოში რეგისტრირებულია 8 შემთხვევა, დაიღუპა 2 ავადმყოფი.

შიღის ვირუსის აღმოჩენა შეიძლება დაავადებამდე, ამიტომ აუცილებელია მოსახლეობის მასობრივი შემოწმება, რისთვისაც არებობენ ანონიმური კაბინეტები, სპეციალური ტესტ-სისტემები შიღის დიაგნოსტიკისათვის.

მ. ჩხატარაშვილი,
ექიმი-პატერიოლოგი.



ბადა სალინაძის როლანდ მურცხვადაძის

გილოცავთ ვაჟის შეძენას, გაზრდილიყოს ქეშმარიტი ქართველი კვლავც გამრავლებას, სიკეთესა და ბედნიერებას გისურვებთ.

გაზეთ „ლეჩხუმის“ რედაქციისა და რაიონული სტამბის თანამშრომლები.

ლიპა მურცხვადაძის

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს. შენი დედ-მამის გული გაგზნარებინოს.

გისურვებთ ნამდვილ ქართველობას.

ცაგერის საშუალო სკოლის VIII-ა კლასის მოსწავლეები.

ბელა სალინაძის როლანდ მურცხვადაძის

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახლო მამულიშვილი.

აგროსამრეწველო გაერთიანების თანამშრომლები.

საით ასკადოს ძე პომეტიანს

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას. უღვეი სიხარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მეგზური.

ადგილმრეწველობის კომბინატის აპარატის თანამშრომლები.

იოსებ პავლეს ძე ჩარაპიანს

გილოცავთ 50 წლის შესრულებას. გისურვებთ კვლავც ახალგაზრდული შემართებით ჩამდგარიყოს ერის სამსახურში.

აგროსამრეწველო გაერთიანების თანამშრომლები.

გოჩა დავითულიანს ვაკა ფირანიშვილს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას.

ნინო, ნანა გუგავები, ლამაზია, აზა დავითულიანები, ნინო, ტარიელ, ზაზა, ზამირა ახვლედიანები, მაკა, კახა ლეშაშელეები, ლელა ურთმელიძე, ლალი, თინათინ, ელისო კვენეტაძეები, მთვარისა სალინაძე.

ბელა ბენიას ასუდ სალინაძის როლანდ ვარლამის ძე მურცხვადაძის

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ღირსეული ქართველი. შემატებოდეს კიდევ მრავალი დაძმა.

ბენია, მარიანე, მაყვალა, მზია, ნინა მუშუდინები, თამარ სალინაძე, გოჩა რობაქიძე, გოდერძი სვანიძე.

ფოთოდა, თამაზ სვანიძეებს

გილოცავთ შვილების აზასა და მამუკას ბედნიერებას. დაე, მრავალი შვილი გაეზარდოს ერისა და სამშობლოს სადიდებლად.

ლასურიაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

ლამაზია, შურბან შურაშვიდებს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ნამდვილ ქართველ ქალად. კიდევ მრავალ აკვანს დაემშვენებინოს თქვენი ოჯახის ფუძე-ქერი.

შერმადინ სალინაძე ოჯახით.

ციცო, ანზორ ბვილიანებს

გილოცავთ შვილის, ნინოს დაბადების დღეს. გაზრდილიყოს სასახლო ქალი.

№2 ბაგა-ბაღის თანამშრომლები.

გურამ, მერი ბარიძეებს

ჩიტო, ვანელი ზილვარიძეს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. შეძენა და გამრავლება დაგებდეთ!

კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის თანამშრომლები.



მზისა გონდოს ასუდ გურჯალიანს მურმან გრიშას ძე ბახსონიანს

გილოცავთ ბედნიერებას, სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

ლალი, თინათინ, ელისო კვენეტაძეები, თინა სილაგაძე, ქეთინო ჩახიანი, გიული გვიშანი, მარიკა ონიანი.

შოთა ჩაკეტაძე, ყორა ახვლედიანი, კორნელ კოპალიანი, იური ყურაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი პლატონის ასული
შეუბუღიანი-ლიპარტელიანი.

ელდარ, ემზარ, დავით, სერგო გუგავები იუწყებიან მამიდის ნაზიკო გუგავას გარდაცვალებას

მიშა, რეზო, მარგო ბენდელიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნადია თეიმურაზის ასული
ბენდელიანი-მინდაძე

ბორის, დათო ხეცურიანები, უჩა გოლეტიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ემზარ, დათო გუგავებს მამიდის

ნაზი გუგავას


გარდაცვალების გამო.

გურამ, მერაბ გუგავები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნაზი სერგოს ასული გუგავა

ჯაბო დავითულიანი, ზაურ ახვლედიანი, ვახტანგ ომანაძე ოჯახებით თანაუგრძნობენ ლილი, ჯემალ დავითულიანებს ძმისა და ცოლის მამის

ქემალ ყურაშვილის
გარდაცვალების გამო.



რუშინეთი. ბუქარესტის უნივერსიტეტის ბოტანიკურ ბაღს 1920 წელს ჩაეყარა საფუძველი. იგი ამჟამად 14 ჰექტარს მოიცავს. ბაღში 10.000 სახის მცენარე ხარობს.

სურათში: ბაღის ერთი კუთხე.

რედაქტორის მოადგიდე

მ. კანელაძე.

დედა ბაბილო, შვილები თამაზი, ემზარი, სოზარი, მედიკო, ძმები დიდიმი, ლულუნი, და თამარი, რძლები ლალი, სულიკო, თამარი, თინა, მულები დენიკო, ანიჩკა, ლილი, თამარი, სიძეები დემურ აკობიძე, ვალდია გოგოძე, გრიგოლ კოპალიანი, შოთა ჩაკეტაძე, შოთა სალინაძე, შვილიშვილები დათო, დარეჯან, მერაბი, თამილა, ლაშა, ძმისშვილები, დისშვილები, მულისშვილები, მამისშვილები, ბიძაშვილები, დედაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლილი პლატონის ასული

შეუბუღიანი-ლიპარტელიანი.

დაკრძალვა 4 დეკემბერს, სამშაბათს სოფ. ქალისტავში.

ჩვენს მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. ტელეფონები: რედაქტორის—22-21, რედაქტორის მოადგილის — 22-26, პასუხისმგებელი მდიმან—22-67,

ხაბაძე მურგენოვის განყოფილება—22-28, მშრომელთა წერილების განყოფილება—22-41 საკრებულო—22-48, სტამბის რედაქტორის

—22-17, სამწეობრო სამსახურს—22-28, გაზეთს გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, შაბათს

№105, ტირაჟი 4488

საქართველოს მწერთა კავშირი ხელმოწერის საბუღალრო კომიტეტის ქუთაისის ბაღიყარაფილი გაერთიანების ცენტრის სტამბა.